



პოლიტიკის დოკუმენტი

2018 წლის ივნისი

გაზის სამხრეთის დერეფანი

2010 წლის 13 ივლისს, ანკარაში შეხვედრის დროს, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის უნგრეთისა და ავსტრიის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს Nabucco-ს მილსადენის პროექტის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების მიხედვით, გათვალისწინებული იყო აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან აღმოსავლეთ ევროპის გავლით, ავსტრიაში ბუნებრივი აირის ტრანზიტი. თუმცა, 2013 წლის 28 ივნისს, შაკ დენიზ II -ის კონსორციუმმა Nabucco-ს პროექტის ტრანს-ადრიატიკული მილსადენით (TAP) ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, Nabucco-ს პროექტის ჩავარდნის პრობლემა პროექტის სიძვირე და ინვესტორების ნაკლებობა იყო.

მოგვიანებით Nabucco ტრანს-ადრიატიკულმა მილსადენმა (TAP) ჩანაცვლა. აღნიშნული პროექტის მიხედვით, მოხდება ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება იტალიაში, საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით.

თავის მხრივ, [ტრანს-ადრიატიკული](#) (TAP) მილსადენი უერთდება ტრანს-ანატოლიურ (TANAP) მილსადენს, რომელიც აზერბაიჯანზე, საქართველოსა და თურქეთზე გადის. TAP სამ მილსადენს აერთიანებს და არ მოიცავს, Nabucco-ს მსგავსად, ერთ მეგა მილსადენს.

SCP + TANAP + TAP = EUROPE

გაზის სამხრეთის დერეფანი



წყარო: ამერიკის ხმა

სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP)

კასპიის ზღვაში შაჰ დენიზის გაზის უდიდესი საბადოს აღმოჩენამ და [სამხრეთ კავკასიის გაზსადენმა](#) (SCP) აზერბაიჯანს შესაძლებლობა მისცა, 2006 წლიდან გაზის მთავარი ექსპორტიორი გამხდარიყო. SCP საქართველოს ტერიტორიაზე იმავე დერეფანში გადის, რომელშიც BTC (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) მილსადენი. მოგვიანებით, უკვე არსებული სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების ფარგლებში (შაჰ-დენიზი 2) დაიგეგმა პარალელური გაზსადენის მშენებლობა.

შაჰ-დენიზის მეორე ფაზის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP) პროექტის განხორციელება გულისხმობს ბუნებრივი აირის იტალიაში ტრანსპორტირებას აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით. შაჰ-დენიზის მეორე ფაზის ღირებულება 45 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო მილსადენის სიგრძე 3 460 კმ-ია.

სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP) წარმოადგენს აღნიშნული მარშრუტის ნაწილს აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით თურქეთამდე, მისი სიგრძე არის 690 კმ.

საქართველოში სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) გაფართოების სამუშაოების ფარგლებში, 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა,

საიდანაც 400 მლნ აშშ დოლარი მომსახურებასა და საქონლის შეძენას მოხმარდა; პროექტში დასაქმდა საქართველოს 3 000-მდე მოქალაქე.

SCP-ის გაფართოების პროექტის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები წნევის შემცირებისა და გამზომ ახალ სადგურში, რომელიც წარმოადგენს SCPX-ისა (სამხრეთ კავკასიური გაფართოება) და TANAP-ის (ტრანს-ანატოლიური) მილსადენების დაკავშირების წერტილს თურქეთის საზღვართან.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, მილის გამტარუნარიანობა 6 მლრდ-დან 16 მლრდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება და ბუნებრივი აირის ტრანზიტი 2019 წლიდან დაიწყება, ხოლო 2020 წლიდან საქართველო ტრანზიტის საფასურად, ყოველწლიურად დაახლოებით, 1 მილიარდამდე კუბურ მეტრ გაზს მიიღებს.

ტრანს-ანატოლიური მილსადენი (TANAP)

2018 წლის 12 ივნისს [ტრანს-ანატოლიური მილსადენი \(TANAP\)](#) ოფიციალურად გაიხსნა. თურქეთის პრეზიდენტმა პირადად მიიწვია პრეზიდენტი მარგველაშვილი, თუმცა, საქართველოს მხრიდან ღონისძიებას მხოლოდ თურქეთში საქართველოს ელჩი ირაკლი კოპლატაძე დაესწრო.

TANAP-ის 1900 კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობა 2015 წელს დაიწყო. [პროექტის](#) საერთო ღირებულება 8.6 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. ინვესტიციის მნიშვნელოვან წყაროს კი მსოფლიო ბანკი (\$800 მლნ.), აზიის ინფრასტრუქტურისა და განვითარების ბანკი (\$600 მლნ.) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (\$500 მლნ) წარმოადგენს.

პროექტის ამუშავების შემდეგ, ბუნებრივი აირი ევროპას მიეწოდება აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით. TANAP წარმოადგენს ტრანს-ადრიატიკული მილსადენის (TAP) ნაწილს, რომელიც თურქეთის შემდეგ საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით სამხრეთ იტალიამდე ჩავა. პროექტის პარტნიორები არიან SOCAR (58%), BOTAS (30%) და BP (12%).

(TANAP)-ის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მილსადენში წელიწადში 16 მლრდ კუბური მეტრის ბუნებრივი აირი გაივლის. ხოლო, დროთა განმავლობაში, მისი მაჩვენებელი 31 მლრდ -მდე გაიზრდება. აქედან, თურქეთის ტერიტორიაზე 6 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი დარჩება, დანარჩენი კი ევროპაში გაიგზავნება.

ტრანს-ადრიატიკული მილსადენი (TAP)

[ტრანს-ადრიატიკული მილსადენი \(TAP\)](#) წარმოადგენს აღნიშნული ტრანსპორტირების მარშრუტის ნაწილს საბერძნეთიდან ალბანეთისა და ადრიატიკის ზღვის გავლით, სამხრეთ იტალიამდე. მისი სიგრძე 870 კმ-ია, ხოლო გამტარუნარიანობა 10-დან 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე.

TAP-ის მშენებლობა 2016 წლის მარტში „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ფარგლებში დაიწყო, რომელიც TANAP-ის გაგრძელება იქნება, გადაკვეთს საბერძნეთს და ალბანეთის გავლით იტალიის გაზის ტრანსპორტაციის ქსელს შეუერთდება (საბერძნეთი-ბულგარეთი-ალბანეთი-იტალია).

TAP-ის პროექტი დაფინანსდა BP (20%), SOCAR (20%), Snam (20%), Fluxys (19%), Enagás (16%) and Axpo (5%) და სხვების მიერ.

პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტი

დღესდღეობით ევროპისთვის გამოწვევაა ენერგეტიკული ბაზრის დივერსიფიკაცია, რაც მოიცავს რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას და ალტერნატიული წყაროების ძიებას. ამ მხრივ საქართველო, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ევროპისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს რადგან, საქართველო კასპიის ენერგეტიკული რესურსების ხელმისაწვდომობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სამხრეთის გაზის დერეფნის პროექტი, რომელიც ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ემსახურება, ითვალისწინებს აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ევროპის ბაზარზე მიწოდებას. ამ ინიციატივის ფარგლებში საქართველო სტრატეგიული სატრანზიტო პარტნიორის როლს ასრულებს, რითიც იზრდება ქვეყნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.

ენერგო საკითხებში უილსონის ცენტრის მრჩეველის, [ალექსანდროს პეტერსენის](#) აზრით, ტრანს-ადრიატიკული მილსადენი TAP არ არის „ნაბუკოს“ ცუდი ჩანაცვლება, რადგან ის ასრულებს არა მხოლოდ Nabucco-ს მიერ დასახულ ბევრ გეოპოლიტიკურ მიზანს, არამედ კომერციულადაც მომგებიანია. Nabucco-ს მეგა-მილსადენზე საუბრისას გასათვალისწინებელია, რომ ის კომერციული პროექტია, რომელმაც ფინანსური მოგება უნდა მოუტანოს ინვესტორებს. არც ერთი დიდი ინვესტორი არამომგებიან პროექტში ფულს არ ჩადებს. ასე მოხდა Nabucco-ს შემთხვევაშიც.

GFSIS-ის უფროსი მკვლევარის [გიორგი ბადრიძის](#) აზრით, TANAP-ის პროექტის პარტნიორად TAP-ის არჩევა შესაძლოა სულაც არ აღმოჩნდეს სასიკვდილო განაჩენი Nabucco-თვის, როგორც ამას ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს. ინფრასტრუქტურის მზადყოფნის შემდეგ კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებმა, განსაკუთრებით თურქმენეთმა, შესაძლოა განიხილონ ტრანს-კასპიური გაზსადენის (TCP) მშენებლობის წინადადება. თურქმენულ გაზს კი, TANAP-ის მეშვეობით, პროექტის მეორე ფაზის სახით შეუძლია Nabucco-ს პროექტის გაცოცხლება. თუმცა, ევროპის პასიურობის შემთხვევაში თურქმენეთი თავის 17,7 ტრილიონიანი გაზის მარაგის დიდ ნაწილს გაუშვებს ჩინეთის მიმართულებით, ან შეეცდება რუსეთთან შეთანხმებას.

საქართველოსთვის Nabucco-ს პროექტს ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დაკარგა თუ არა რაიმე საქართველომ Nabucco-ს პროექტის ჩავარდნით? ალექსანდროს პეტერსენის აზრით, საქართველოს სავარაუდოდ, არაფერი დაუკარგავს, რადგან Nabucco-ს მიღების აშენება საქართველოს ტერიტორიაზე არ იყო დაგეგმილი. პროექტის მიხედვით, გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის გაგრძელება უნდა ყოფილიყო. ასევე, არ იყო ცნობილი, მიღებდა თუ არა საქართველო სატრანზიტო თანხას.

აღსანიშნავია, რომ მულტინაციონალური პროექტების დასრულების შემდეგ, ევროპა რუსულ გაზზე ნაკლებად იქნება დამოკიდებული. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც TANAP-ი რუსეთის მხრიდან კრიტიკის ობიექტი ხშირად გამხდარა.

ბუნებრივ აირზე მოთხოვნა ევროპული და სამხრეთ კორიდორების გასწვრივ საკმაოდ მაღალია. იტალია, რომელიც გაზსადენის დანიშნულების ბოლო პუნქტია, ევროპაში ბუნებრივი აირის ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია. აქ გაზის მოხმარება 70 მლრდ კუბურ მეტრს აღწევს. სამხრეთ კორიდორის გახსნით, საბერძნეთი და ბულგარეთის ბაზრები ახალი წყაროდან მიიღებენ გაზს, რაც გაზრდის მათ რეგიონალურ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას.

ალბანეთისთვის სამხრეთ კორიდორი ქმნის გაზის ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობას, რაც ელექტროენერჯის წარმოების ეფექტურობაზეც აისახება - მიიჩნევენ ქართველი ექსპერტები.

ყველა ზემოთხსენებული ქვეყანა, საშუალოდ, 50%-ზე მეტად რუსულ გაზზეა დამოკიდებული. ამიტომ, სპეციალისტების შეფასებით, შაჰ-დენიზის განვითარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ევროპის ენერგოდამოუკიდებლობას.

*მაია ბაღათურია
საქართველოს რეფორმების ასოციაცია*